ასლი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

13.08.2010 N 113

თბილისი

სტუდენტთა მობილობის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული განაცხადებიდან, სტუ-ში არსებული წესის თანახმად დიდი რაოდენობის სტუდენტთა რეგისტრაციის არ გავლის გამო, გაგრძელდეს განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება 2010 წლის 9 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, მესამე სართული, ოთახი №350 (თბილისი, მ. კოსტავას 77);

2. 2010-2011 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და მისი წარდგენა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა (ხ. მხეიძემ) არაუგვიანეს 2010 წლის 20 აგვისტოს;

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ. მაისურაძე